

F 85
1914

Н. Я. НИКОЛАДЗЕ

№ 32

2 გიორგიმანეთვე 1914 წ.

საქართველო
მისამართი და მისამართი

წლიური ფასი

≡ 5 გან · ≡

შოველ კვირაზლი საზოგადო-ეკონო.


ცალკე ნომერი 10 კაპ.

მიუხი და სალიტერატურო შერწყმი

რედაქცია ლია 9—3 სა-თამადე.

ზელიზადი გესამი

მისამართი: თბილისი, გაბაევსკის ქ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტი: თბილისი კლდე.



ერთ-ერთი სახელოსნო კრუპის ზარბაზნების ქარხანაში გერმანიის პრინცი, საცი მარკიზი „კატარა, ზარბაზნები.

1. თმი და ჩვენი მატიანე.—შამქორისა. 2. ქართლი — რ. ვ—ესი. 3. მასალები სა-
მედიორაცით კუნძისათვის.—მკვიდრისა. 4. შეკრის ფამხოსტი. Candide. 5. უკ-
სა სა რ ჩ ი ზ ი: სალ-გაზეთუბილან. 6. 6. ნიკლაძის წერილი. 7. პ-ნ 6. დუბოფესებრ. ტრიუმფი. 8.
თეატრი და ხელოვნება.

ომი და ჩვენი მატიანე

II

ოსმალეთის მიერ ომის გამოცხადების შემდევ
ჩვენთვის ამ მსოფლიო ტრაგედიის ახალი, თუ შე-
იძლება ითქვას, ფაზისი დადგა.

ჩვენი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ პი-
რობების გამო ის, შედარებით სხვასთან გადამეტე-
ბული, პირადი და ქონებრივი სამსახური, რომელ-
საც ვერეოდით საერთო სახელმწიფოსთან, არ გვი-
მარა ბედმა და იხალი მსხვერპლი და ზვარაკნი მო-
ითხოვა ჩვენგან.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთ ისმა-
ლოს სამხედრო მოძრაობა ჩვენი ქვეყნის საზღვარ-
ზე ატყდა, და თუმცა ჯერ ისეთი სიპატიო საბუთი
არა გვიშვს რა, მაგრამ შესაძლებელია ჩვენი
ქვეყანა ომის ასპარეზად გადაიქცეს.

როგორც ჩვენმა ფურნალმა, (№ 31—მეთაუ-
რი) ისე სხვა ქართულმა გაზეოებმა გაითვალისწი-
ნეს ეს მოვლენა და შესაფერი რჩევა და დარივებაც
მისცეს ქართველ საზოგადოებას.*) ჩვენ ირ გავიჩერ-
ებთ ამას, რადგან არა ვთვლით მემატიანის მოვა-
ლეობად. ჩვენი მოვალეობაა— აღვნიშნოთ ის, როკ
უკვე მოხდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში, მომ-
ხდარ ამბებს კი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნე-
ლობა იქნა. თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობამ
გადასწყვიტა დაარსოს ცხენოსანი და ქვეითი რაზ-
მები, ქართველმა მოსწავლე ახალგაზრდობამ სა-
უნივერსიტეტო ქალაქებიდან უკვე გამოსწია მონა-
ლისეთა რაზმების გასაძლიერებლად. ერთსაც და
მეორესაც ჩვენთვის, ვიმეორებთ, დიდი საზოგადო-
ებრივი მნიშვნელობა იქნა. თვითონ ფაქტი ჩვენის
ახალგაზრდობის სამშობლოსაკენ წამოსვლისა გვი-
კარნახებს ჩვენს მომავილის მოქმედებას. ძვირფასია

*) ეს წერილი უკვე აწერილი იქნა, როცა „ახალ იურიდიკა“ დაიძებდა, დღევანდელ ნომერში გადმიზეს-
დიდი 6. ნიკლაძის წერილი.

ჩვენთვის მიწა წყალი, წმიდა ჩვენი კერა და აქე-
დან ფეხის შოცვლა ყველა ქართველისათვის სიკ-
ვდილი და თავის მოქრია უნდა იყოს! სამშობლოში
უნდა შეცხვდეთ ყოველივე გასაჭიროს, თუ ბედმა
გვარგუნა იგი, და სამშობლოშივე, მასთან ერთათ
მოვინელოთ იგი!

ეს იხალი შენაწირიც სამშობლოს წინაშე არის
იმავე მაღალი მოქალაქობრივი საერთო გრძელი
გამოწვევული, როგორც პირველია. მათ, ვისოდესაც
გათახსირებულ სინიდის გონება დაულშეია, და
არ ხედავენ იმ წმიდა და დიდს სხვარპლს, რო-
მელსაც პატარა საქართველო სწირავს დიდ სამშო-
ლოს, თავიც რომ ვაწიროს საბოლოოდ— თვალებს,
განგებ დაბრმავებულს, ვერ აუხილავთ, დაბნელე-
ბულ სინიდის ვერ გაუღვიძებთ, ვერც რაზმების
დაარსებით, ვერც სხვა რამით. მაგრამ ჩვენდა სა-
სახელოდ, როგორც წინა წერილშიაც გვქონდა
მოხსენებული, ქართველ ნალეს. სულ სხვა წმიდა,
ფაქტიზაცია ს ამაყო გრძელია ამოძრავებს, გრძელია
თავის მოქალაქობრივ მოვალეობის შექნების.

რაზმის დაარსება ეს, თუ შეიძლება ასე ით-
ქვას, ჩვენი ზედ მეტი მოქმედებაა, ზედმეტი, რაც
ვინ ჩვენი ტერიტორია, რომლის დასაცელიად არი-
სება რაზმები, უნდა დაიცვას და უმთავრესად და-
ცვას კიდევ ის საერთო სახემწიფო ძალა, რომლის
რიგებში ასე დირსეულად იბრძვის დღეს საქართვე-
ლო, თავის საუკეთესო შეიღების სახით.

მაშისადაბევ ამ ზედმეტ თავისუფალ ეროვნულ
ძალას სულ სხვა ფის უნდა დაედოს, მიეცეს სა-
მუალები ღირსეულად მიიტანოს შეულახველი ერო-
ვნული დროში იმ საერთო მმობისა და ეროვნულ
თანასწორობის მომხიბლელ მდგომარეობიდან, რო-
მელიც დაუსახა რუსეთს უძალლესმა მთავარსარდალ-
ზა თავის ისტორიულ მანიფესტში პოლონელ ერის
მიმართ.

თეთრ ფაქტი ეროვნულ რაზმის დაარსებისა და
ქართველ სტუდენტობის სამშობლოსაცენ წამოს-
ვლისა გვიჩვენებს გზას ჩვენი ეროვნული მოქმედები-
სას. ქვეყანა იგროვებს ძალის კარხე მოსულ უბე-
რის.

დურობის თავიდამ ასაცილებლად და „ქუდზე კაციც“ რომ მოგვიხმოს, მოვალენი ვართ დავიცვათ სამშობლო კერა, ძვირფასი მიწა-წყალი.

ისეთია ჩვენი ეროვნული ძალის მსვლელობა. დღესაც ისეთივე მაღალი და კეთილშობილი ოვისებების მოქალაქობრივი გრძნობით გამოწვეული, როგორც წინად აღნიშნული.

სხვა აზრი და სარჩული არა აქვს ამ მოფლენას. მელი საფიქრებელია, ვისიმე გულის მოგება პქონოდათ სახეში რაზმების დამაარსებელთ, რადგან ვისაც გული და სინიდისი იქამდის დაზული აქვს, რომ იმ ღირსეულ და თავგანწირულ სამსახურს, რომელ საც ეწვიან დღეს ქაროველები ბრძოლის ველზე, არ ხედივს, რაზმები-კი არა მთელი ჩვენი სიცოცხლეც რომ სამსახურს კოცონებ მივიტანოთ, ვერ დაინახავს.

მაშასადამე რაიმე ამ გვარ აზრს, არავითარი ადვილი არა უნდა ჰქონდეს ამ მოვლენის აღსნაში, მით უშეტეს, რომ დამაარსებელთ წარმოდგენილი ექნებოდათ, თუ რა სიჭირო ძალის აცულიან ხელიდამ ჩვენს ქვეყნის. ეჭვი არ არის, რომ უმოავრესად, შეიძლება ითქვას განსაკუთრებითაც კი, რაზმი თავად-აზნაურობით შეივსება, როგორც უფრო თავისუფალი და სამხედრო ტრადიციით სავსე კლასით. არაფერს ვიტუვით მათზე ვინც გლეხეაცობიდან მოჰყვება რაზმს. მათი, როგორც მშრომელი კლასის, მნიშვნალობა ქვეყნისათვის, ცხადზე უკადესია. თავად-აზნაურობის უმე-ესობაც ის ელემენტი იქმნება, რომელმაც უკვე დაპეტ კლასობრივი შეხედულებანი, შეურიგდა აუცილებლობას, უკადებო რუტინული ტრადიცია, მოჰკიდა ხელი საქმეს და შეტად სისარგებლო და სიმპატიურ მუშაკად გადაიქცა, იქამდის სისარგებლოდ, რომ დღეს დაბექავებულ სოფლის წინმსვლელობის საქმეში საგულასხმიერო ინიციატივას იჩენს, თავში უდგება საამხანაგო და კოოპერაციულს დაწესებულებათ, მხურვალე გულით ეწევა ხატით საქმეს. უფრო მეტს დანაკლისს წარმოადგენს სტუდენტობა. მოსკოვში, პეტროგრადში და სხვა საუნივერსიტეტო გალიებში ქართველი ახალ განვითარება მოხალისეებად ასობით ჩაწერილა. აშკარაა, თუ რა არის ქვეყნისათვის რამდენიმე ასი ენერგიით სავსე, ახალგაზრდული ხალისთ გატაცებული, კულტურული მომუშავე.

უკველა ეს, რასაკეირველია მხდველობაში ექმნებოდათ რაზმების დამაარსებელთ და საფიქრებელია ისც, რომ ჩვენთვის ასეთ საჭირო და ძვირფასი ძა-

ლის შესაფერ ხვედრს და ღირსეულ სამაგიეროზედაც იზრუნვავდნენ.

ასე შესძრა ჩვეულებრივ მყუდოფეშიდამ ჩვენი ერის ძალები ამ საშინელმა ომმა. არც სხვა რომელიმე მხარე ჩვენის ცხოვრების დაწერებულ ნიშან-დაუდებელი, მაგრამ ამასედ შემდეგ.

შამქორი.

„ქართლი“

კვირას, ყოფილ სემინარიის დარბაზში ღირსენიშნავი ამბავი მოხდა. აკურთხეს კოოპერატიული მაღაზია „ქართლი“, რომელიც გახსნა შუაგულ საქართველოს მეხილეთა საზოგადოებამ. ქართველ საზოგადოებას თამამად შეუძლიან სთქვას, რომ ჩაიყრა საფუძველი არა მირტო გორის მაზრის, არამედ მთელი ქართლის მეხილეობის აღორძინება-განვითარებისათვის. მკითხველმა კარგად იცის დიადი მნიშვნელობა კოოპერაციისა და ნათლიად წარმოიდგენს თუ ეს ახალი საქმე როგორ ერთბაშიც სცელის ელემენტს მთელი ქართლის პრიმიტიული მეურნეობისას, ნამეტნავად მისი დიდი ნაწილისას, სახელდობრ მეხილეობისას. დღევანდლამდის ერთიად ერთი ფაქტორი პატრონი და მოგების მომხდელი ამ მშენებელი დარგისა იყო—ბაყალი; ის ბაყალი, რომელიც უსაზღვროდ და უკონტროლოდ ჰყველებიდან მეურნეობების, მწარმოებელს—ფასუაკლებით, რომ არა უსაზღვროდ და უკონტროლოდ ეყვლითა მომარებელი—ფასის იწევით. ქართლის მდიდარი ბუნება, მისი გამრჯელი ხალხი დღეს ახალ გზას დაადგა და მისმა უნარშა, შევნებამ მთელი ქართველი საზოგადოების თანაგრძნობასთან სოლიდარულად უნდა იაროს, რომ დახმარების კეთილი გაიზარდოს იმ დღიდ მოზნამდის, რომელსაც პქვიან საერთო კოოპერაცია მწარმოებელი და გამსაღებელი.

ქართლი, მთელი საქართველოს გულია და მისი იღორძინება უკონტროლი, მისი შეკავშირება ერთ ნიაღაგზედ გამოიწვევს შეერთებას სხვა ნიაღაგზედაც და საქართველოს სხვა ნაწილებიანაც. იხალი საზოგადოება ახალი საქმით, თავისი მიზნებით გვაგონებს მეორე საზოგადოებას, რომელსაც საძირკველი ჩადებარი ამ თუ წლის წინად კახეთში, —ეს გახლივი საზოგადოება „კახეთი“, რომელმაც თავს იღვა მეღვინეობის საუკეთესო რაონის გაერთიანე-

ბა კომპერატიულის მიზნით. მართალია ეს სახოვა-
დოება ბევრი ხელშემშენელი მიზნის გამო ვაიცინა
ისეთ ფორმებში, რომელთაც ძირითადი ცვლილება
სჭირიათ თვისი დიდი მისის შესასრულებლად, მა-
გრამ მისი კეთილდღეობა ვგონებთ მაინც უჩრუნ-
ველყოფილია. მისი ნაცადი კარგი სკოლა იქნება
იხილ სახოვადოებისთვის, რომ იციდინოს თავიდან
შეცდომანი და ანოლოგიურ საქმეს უფრო ფართო
და უფრო ღირსაშესანიშნი ვასაქანი მოუპოვოს.

ლვინის ბაზარი დღეს საუბედუროდ ვაუქმებუ-
ლია გაუგებრობის და უცნაურობის მიზეზით, დღეს
შეზღუდულია ყოველგვარი ვაჭრობა, დღეს დაცე-
მულია და კრიზის განიცდის მეხილეობაც სხვა სა-
მეურნეო დარგებთან ერთად და მით უფრო სა-
გულისხმიერო სწორედ ასეთ დროს მეხილეობის
ამხანაგობის მოქმედება პრაქტიკულ ნიადაგზედ. ამ-
ხანაგობა ისალებს იმ ხილს, რომელსაც გაუმაძლარი
ბაყლები დღეს ჩაღის ფასადღა ყიდულობენ მარტო
იმ მიზეზით, რომ სარგებლობენ ომით. დღევანდე-
ლი პატარა საქმე, უნდა გაიზარდოს ისეთ მძლავრ
კომპერატიულ, რომელიც შეაერთებდეს მთელი ქართ-
ლის მეხილეებს, რომ მომავილს ძლიერი ეკონომი-
კური ორგანიზაციის სახით დახვდეს და დღევანდე-
ლი უბალოო კრიზისის რისხვა ვაანელოს ცოტაოდ-
ნად მაინც.

მაგრამ ამ თეორიულიდ ძეირულის საქმეს უნ-
და პრაქტიკული დახელოვნებული ორგანიზაცია
აუდგეს სათავეში, რომ საღმა პრინციპებში ხორც
ეშვებისხან.

ჩვენ გულწრფელი უსურვებთ საქმის დამ-
წერით ასეთი ორგანიზაციის შექმნას და თავიდანვე
გვინდა რჩევა მივცეთ ეს საქმეც არ ვახადონ კერ-
ძო გაწამარტის სარბიელად. გვინდა ორიოდე პრაქ-
ტიკული შენიშვნის მიცემაც, რომელთაც იწვევს
უკვე გაქცეობული საქმე.

კვირიანდელი კურთხევა უფრო სადემონსტრა-
ციონ ხასიათს იტარებდა, ვიდრე ნამდვილ საქმის
ცოდნით გაედენთილ სურათისას. თვით მიღაზია
შოუწუობელი და ცარიელი იყო და, როგორც ეტ-
ურიმა, გარდა განსაზღვრული ხილეულობისა (თუმ-
ც მართლაც მშვენიერისა) არც არაფერი გაიყიდე-
ბა, რაც მეტად შეაფერხებს ვაჭრობას. შეორეც,
უცელიანი სახტად დასტოვა თავშეჯობარის უცნა-
ურმა განკარგულებამ რომ არაფრის ყიდვა კურთხე-
ვის შემდეგ არ შეიძლებოთ. ეს პირველივე არა-
კოლექტიური ნაბიჯი როგორდაც არღვევდა იმ სა-
კრთო ღირსახულებას, რომელიც გამოიწვია საქ-

მის დაწყებამ და მღვდელის მშვენიერმა სიტყვამ.
სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სა-
ზოგადო საქმე, რომელსაც დიდი მომავალი აქვს
უნდა საზოგადო კონტროლს ექვემდებარებოდეს და
რაც შეიძლება ნალე ფართო საზოგადოებრივ ხასი-
ათს მიიღებდეს წევრთა საზოგადო კრების მოწვე-
ვით. ეს დიდი საქმე არ უნდა გაჰყვეს იმ შეცდო-
მებს, რომელთაც არა ერთი ამისთანა დაწყებულო-
ბა დაღუპეს. ეს მით უფრო საჭირო, რომ აქამ-
დის უცელა ქართული საქმე და ორგანიზაცია კოჭ-
ლობს არასაზოგადოებრივი ელემენტების ზეგავლე-
ნ-თ.

კიდევ და კიდევ უსურვოთ ამ ნორჩ საქმეს
კეთილდღეობა და დღეგრძელობა.

ს. 3.

მასადგენი სამელიო- რაციო კრებისათვის (გაგრძელება)

მომხსენებელი ა. ე. ბერეზოვსკი უკეთებს ანა-
ლის მიწათ-მომქმედ დეპარტამენტის 1914 წლის
ზარჯო ფლიიცხვის უმთავრეს თვისებებს და ამბობს:
„1908 წლიდან დაწყებული მიწათ-მომქმედ დე-
პარტამენტის ხარჯო აღრიცხვა წლითი წლობით იზ-
რდება დიდის სისწავით და 1914 წელს იღის
34,927,461 მანეთამდე 1914 წლის გასივალი
5,500,000 მანეთით იღემარება 1913 წლის გასა-
ვალს. გასავლის ასეთი ვადიდება, სოფლის მეურნე-
ობის გულისათვის, რასაკვირველია, კმაყოფილების
სისიხარულო გრძნობას ვამოიწვევდა და ასა სხვა
რამეს, რომ ერთი მხრით სასოფლო-სამუშაოების
მრეწველობის განსაკუთრებული თვისებანი და მეო-
რე მხრით კრედიტის გაღების წესი არა პერიდის
ფიქრებს უნდებული პესიმისტურ მოსახლებისაკენა.“
ბ-ნი ბერეზოვსკი თავის მოხსენებას შემუელი სტრი-
ქონებით ათავებს: „საკითხები, რომელიც ეხება ბი-
უჯეტსა და გლეხთა მეკომურების ამნაზლაურებელ
ძალებს, მიწათ-მფლობელობის პირობების შეცვლა-
თანა და გადასახლებასთან ერთად და იმ საშუალე-
ბებთან ერთად, რომელსაც ხმარობენ მიწის ნაკლე-
ბობასა და ნადელების სიწვრილმინესთან ბრძოლა-
ში, თქმა აღარ უნდა, სრული და დაულალივის უკ-

რაღდების ლიტისია, როგორც იდგილობრივ თვით-
მართველობის ორგანოებისა, აგრედვე მთავრობისა.
მიგრამ ეს ასე არ არის, ნამდვილად გაზ-
უადებული არ გვევონოთ. ამ საკითხებს მხო-
ლოდ ერთი-ორი ადამიანი თუ ეცნობება ხოლმე, ისიც ცნობისმოყვარეობის გამო, თორემ ხდეა არა-
უნ.

სად არის საორგანიზაციო საკითხები, რომე-
ლიც დაკავშირებულია ახალ მეურნეობის შორი-
ბასთან, და სტატისტიკური და ეკონომიკური ცნო-
ბები, რომელთაც უნდა ჩვენ წარმოგვიდვინოს სოფ-
ლის ქონებრივი ევოლიუციის სურათი? განა კუ-
რაოდენ ყურადღებას მაინც აჭარას ვინშე! არა,
მთავრობისა და ერობის თანამედროვე თანამშრომ-
ლობა თვალებს იხვევს ამ საკითხებზე, ვსტკები
მოჩვენებულ კეთილდღეობის ჭრელი სურათით, რო-
მელიც არის გამოწვეული უხვად მოფანტული მოწ-
ყალეობით, რომელიც გამოიხატება სასოფლო-სა-
მუშაონეო იარაღისა, სიმენტრალისა და სხვა ხარების
დარიგებაში, პროცენტიანი და უპროცენტო სეს-
ხის გაღებაში, გაცემაში და არგაცემაში, ხშირად
ახალ მეურნეობის არარსებულ წინ წაწევის დაჯილ-
დოვებაში და სხვ.

ჩვენ ეხლა გლეხთა მეურნეობასა და თვით-
გლეხთა წრის ღრმა ცვლილებას განვიცით.
სიკირთა იმ პროცესის გააუზიარეს! ეს მაშინ
არის შესაძლო, როცა ცენტრალური მთავრობა
სრულ ნდობას გამოუტადებს ჰამეტურ მარტო
ერობას, აგრედვე ხალხსაცა. ცენტრალური მთავ-
რობა მაშინ მიიღებს ქვეყნისაგან ნამდვილ დაზმა-
რებას, როცა შექმნის ახალ თვითმმართველ ერ-
თულებს და რეფორმებს შეიტანს ძველ ერობაში
და ამით განახორციელებს ზემოთ ხსენებულ ნდო-
ბას. სანამ ეს არ იქნება, მანამ ყოველნაირი მოს-
ყიდვა და დაჯილდოვება მცხოვრებლების ცალკე
ჯვალებისა არაფერ სარგებლობას მოიტანს, და
მხოლოდ მთავრობის შემოქმედებით იდეის უძლუ-
რების დემონსტრაცია იქნება.“

მომხსენებელმა შ. კაცენელენბაუმმა (ავტორი
ამ მოვლენაში მეორედ გამოცემულ შრომისა—
„მელიორაცია, მელიორაციული ამხანაგობა და მე-
ლიორაციული კრედიტი რესეტში“) მოსკოვის სა-
სოფლო-სიმეურნეო საზოგადოების საერთო კრებას
თავის შრომაში—„მელიორაციული დეპარტამენტი
და მისი 1914 წ. მოსახრებანი“—შემდეგი მეტად
სიგულისხმიერო ცნობანი მიაწოდა.



გერმანული პაროვლი, წართმეული თავ. ერის-
თავისაგან.

ამ ხანად მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება, — ამბობს ბ-ნი კაცენელენბაუმი, — როდის არის ერთად-ერთი ორგანიზაცია, რომელიც უძლვება შთავ-რობის მელიორაციულ მოღვაწეობას. ამ ორგანიზაციისთვის ერთად, მიწათა ძირიან-გაუმჯობესების საქმეს აკეთებს აგრეთვე 1909 წ. მიწათ-მომქმედ დეპარტამენტით აღმოცენებული ორგანიზაცია საჭობო კულტურის სპეციალისტებისა და ინსტრუქტორებისა, გადასახლების მომწყობთა უწყება, სატყეო დეპარტამენტი, სასოფლო ეკონომიკის განყოფილება და სასოფლო-სამეცნიერო სტატისტიკა, რომელთანაც მელიორაციულ კრედიტის ფონდი არსებობს.

მაგრამ ყველა ამ დაწესებულებათა მოღვაწეობას მეორე ალგილი უჭირავს შედარებით იმასთან, რასაც აკეთებს მიწათ-გაუმჯობესების განყოფილება, რომელსაც შეიძლება ვაუწოდოთ, ჩვენი მელიორაციული დეპარტამენტი.

უმნიშვნელო ხარჯებიდან დაწყებული, რომელიც რამდენიმე ასი ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, განყოფილების განვითარების ხარჯთ-აღრიცხვა 4-ის წლის განმავლობაში აუვანილია 13 ნახევარ მილიონ მანეთამდე, და რასთა საზოგადოებისათვის არც ისე ინტერეს მოკლებულ საფნადა ხდება ის, თუ როგორ აპირებს ამ მილიონების დახარჯვას მიწათ მომჭმდი უწყება,

მიწათ-გაუმჯობესების განყოფილების უკანასკნელი ხარჯთა-ღრიცხვის ინტერესი უფრო შესაძინევად იზრდება შემდეგ გარემოების წარალობით.

როგორც ცნობილი, სახელმწიფო სათათბირო სურვილი გამოსთვევა, რომ რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეს აღსანიშნავად მთავრობას დაემარჯა უახლოეს წლების განმავლობაში 150 მილიონი მანეთი მელიორაციაზე და ამით დაედო სათავე ფართო მელიორაციულ შრომისათვის.

სახელმწიფო სათათბიროს სურვილის შესაფერიდ, — მიწათ-მომწყობისა და მიწათ-მომქმედის მთავარ გამგეობას მიწათ-გაუმჯობესების განყოფილებიდან შეაქვს სათათბიროში კანონ-პროექტი სამელიორაციო საქმისათვის 150 მილიონ მანეთის გაცემის თაობაზე 1915—1919 წლების განმავლობაში შემდეგის ჯამების ჩვენებით:

1915 წლისათვის	— 15 მილიონი მან.
1916	— 25
1917	— 30

1918	"	— 40	"
1919	"	— 40	"

150 მილიონი მანეთი განზრახული დაზიანებული მიწათ გაუმჯობესების განყოფილების ხელით, და ამგვარად განყოფილების 1914 წლის 4 მილიონი ხარჯი აღრიცხვა წმრმოადგენს სითავეს გრანდიოზულ ხარჯებისას, რთმელთანაც შემდეგი წლების ხარჯები მცირდროთ არის დაკავშირდებული.

ამის წყალობით უფრო და უფრო იზრდება ინტერესი მიმდინარე ხარჯთ-აღრიცხვისა, რომელიც უთუოდ უნდა განაიღულ იქმნას მელიორაციულ საქმეთა უწყების განზრახვებთან ერთად.

რაკი განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში დაზიანებული მელიორაციულ საქმეზე ას მილიონობით ხალხის ფული, მიწათ-მომქმედ უწყებამ უნდა, რასაც კვირველია, იქონიოს დაწვრილებითი ორგანიზაციული გეგმა, უნდა მისხლივ მისხლივ იცოდეს, როგორ დაიხარჯება ეს მილიონები.

როგორც ჩვენ გვვნია მელიორაციულ საქმეთა მოგანიზაციული გეგმა უნდა შეიცვალოს სამ ელექტროს: 1) უნდა იყვეს ნაჩვენები, როგორ იქნება აგებული შიგანი მოგანიზაციული მთავრობის ტეხნიკურ ძალებისა და რა საფუძველით უნდა იმოქმედოს ამ მოგანიზაციაში; 2) უნდა იყოს გამორჩეული სხვა დაწესებულების, ერობისა, სასოფლო სამეცნიერო საზოგადოებათა და თვით მცხოვრებლების როლი, და აგრეთვე უნდა იყოს ნაჩვენები, როგორი დამოკიდებულება იქნება, მელიორაციების წარმოების შრომის, ერთი მხრით მთავრობისა და მეორე მხრით საენებულ დაწესებულებათა და პირთა შორის; 3) უნდა იყოს აღნიშნული, როგორ განაწილდება ხარჯები თვითეულ მელიორაციების შორის და რაიონების შორის.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, განაგრძობს ზ. კაცენელენბაუმი, მთელ რიგ გუბერნიებში არსდება საერთო მელიორაციული ბიუროები, რომელთაც ასაკვირველია არ შეუძლიანთ მარტო პასიური მაყურებლები იყონ იმ საქმეში, რომელსაც სათანადო გუბერნიებში მთავრობის ინიციები მოიქმედებნ; ხომ უნდა რამდე დამოკიდებულება პერიოდით ამ საქმეებთან საერთო ბიუროებს, მაშასადაც, უნდა წინასწარ შემუშავებული იყოს მთავრობასა და ერობის შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების გეგმა ამ საქმეებში; ატასთანავე იბადება საქმეების ხელმძღვანელობისა და მოწმელების სფეროს განწილების საკითხი, თუ რა სახისა

უნდა იყოს თანამშრომლობა, რა მონაწილეობა უნდა მთილოს ერობამ ფინანსების მხრით და სხვა კიდევ ბევრი ამისთანა. ჩველოფერი ეს წინდაწინვე უნდა იყოს გამორკვეული და განსაზღვრული, რომ პირები ნაბიჯების გადადგმისთანავე საქმისათვის მავნე მიხვდა. მახვლობ არ წამოყოფილი თავი.

ნაკლებად უმნიშვნელო არ იქნებოდა აგრეთვი, რომ გამორკვეულიყო თავიდანვე, რა როლი უნდა დაიკავოს მომავალ შრომაში თვითონ მოსახლეობამ.

მოსახლეობას არ შეუძლიან გულ-ხელი დაიკრიფოს და ისე უცქიროს მელორაციულ საქმეებს, ჯერ მარტო იმიუმბ რომ ამ საქმეების წარმოება მიწის დამმუშავებლებისაგან დახმარებას მოითხოვს წყლისა და მათ მიწაზე საქმის წარმოების გადაწყვეტის შერით. (ნებისი იქნება ეს გადაწყვეტილება თუ ძალდატანებითი).

ხარჯთ-აღრიცხვა გვიჩვენებს, რომ მიწათ-გაუჯობესების განცოცილების მიერ 1914 წლისათვის ნაოხვნი 1/3 ნახევარ მილიონი მანეთიდან 6 ნახევარ მილიონ მანეთიდე მეტი, ე. ი. ნახევარის ოდენა ფული გადადებულია თურქისტანისა, ამიერკავკასიისა და ცამბირისათვის, უმოავრესად მებაშბერის რაიონების მორწყვის მოსაწყობად. ევროპის რუსეთის მიწების დაშრობისათვის და მორწყვისათვის კი თბოლულობენ მხოლოდ 4 ნახევარ მილიონ მანეთისა.

უფრო მეტად უცნაური გამოჩნდა ამ გვარივე, — განიგრძობს ისევ მომხსენებელი, — 150 მილიონიან ფონდის განაწილება; ამ ჯამიდან უწყებას განზრახვა იქვე შეა აშიის (ცამბირიან ლაქებში) და ამერკავკასიის მებაშბერის მიწების მოსარწყველიდ 62 მილიონი გადადოს, ევროპის რუსეთისათვის კი — 30 მილიონი მან. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვეუნის საერთო მელიორაციულ საკიროებით შორის განაპირა ჭვეუნების მორწყვის მებაშბერის განვითარებაში პირველი ადგილი არ უჭირავს.

მთავრობა თავის კანონ-პროექტით 62 მილიონ მანეთის დახარჯვას აპირობს თურქისტანისა და ამიერკავკასიის მიწების მორწყვის მოსაწყობად და ის კი სრულიად ავიწყდება, რომ აქვე პეტერბურ-

გის მიდამოებში ვრცელი დაწამებული ადგილებია, რომ ჩერნიგოვის გუბერნიაში 37 ათასი დესეტინა ადგილი სულ ჭაობებს უჭიროთ, სადაც უკადურესი მიწის ნაკლებულობაა, სათდანის ხალხი არამც თუ კიმბირში, ამერიკაშიც კი გარდის, და სადაც დაშრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჟენებოდა.

ამგვარი გეგმა განა შესაძლოა, რომ სწორე გეგმად ჩაითვალოს? ეს 150 მილიონი მანეთი ისე უნდა განაწილდეს, რომ შესამჩნევი გავლენა იქონიოს საერთოდ ჩვენი სოფლის მეურნეობის ფეხზე წამოყენებაზე; ამისათვის საჭიროა, გადატანილ იქმნეს ხარჯთ-გალების უმთავრესი ძალა მრავალ მილიონ უვარების მიწაზე, რომელიც მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ევროპის რესერვში, თურქისტანისა და ამიერკავკასიის უდაბნო ადგილების მორწყვა კი, რომელსაც ირსებით მნიშვნელობა არა აქვს, უნდა მეორე რიგის მიზნად იყოს დასახულო.

ზ. კაცენელენბაუმი ასე ათავებს თავის მოხსენებას: „მიწათ-გაუმჯობესების განცოცილების 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამ ამგვარად ჩვენ რაოდენადმე მოულოდნელ დასკვნამდე მოგვიყვანა, რომ თუ თავი დავანებეთ მებაშბერის რაიონების მორწყვის საქმეს, რომელსაც მარტო ადგილობრივი და საერთოდ მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, თუ თავს დავანებეთ აგრედვე მიწათ-მოწყობის რაიონების საქმეს, როგორც მეორე ხარისხოვანსვე, აღმოჩნდება. რომ მელიორაციებს (ამ სიტუაციის საკუთარი მნიშვნელობით) ხარჯ-ათლრიცხვაში მიღიან ცოტა ყურადღება აქვს მიქცევული.“

ჩვენ მოგვყავს ეს ზემო იღნიშნული ციტატები კომპეტენტურ ავტორების მოხსენებიდან, როგორც მეტად სინტერესო მასალა, რომელიც მიუდგომლად იქმნა გაშუქებული სახელმწიფო სათაბიროს წევრების მიერ, და გვინდა ამით ადგილობრივი საზოგადოებრივი აზრი ნორმალურ ჩარჩოებში მოვაჭიოთ, რომ იდეალიად შესძლოს განზრაბული სამელიორაციო კრების საფუძვლის და უმთავრეს მიზნების შეთვისება.

მკვიდრი.

გ მ უ ხ ე რ ი ს უ ა მ ბ მ ა ხ ა ბ ი

ლურჯ ზეცასა სარკმლით ვუშჩერ, ზეაცს ვარსკვლავთ ხელით ნაქსოვს,
მაგრამ ფასი მის შვენების დამკარგვია, აღარ მახსოვს;
ირგვლივ ბნელა... ციაგთ რკალის სხივოსნობა არა ნათობს,
მხე არ მზეობს, თითქოს თბილა, მაგრამ სითბო თვით არ მათბობს.
უცხო ქვეყნად მოწყვეტილი ველარი ვკვრეტ მშობელ მხარეს,
მოვკლებივარ მისსა ალერსს, დღეს განვიცდი მეტად ცხარეს,
ეპა, ვარდმა ვით ივარდოს? ზამთრის სუსხე ვით აჰყვავდეს?
ცრემლი წამწამს დაულტობდეს, წამწამი კი თვით ცრემლს სვავდეს!..
ტკბილო სსოვნავ, ავერ შენი სახე ნაზად მოციშტიმებს,
გეხუტები, შენც მიცინი და თან მისმენ თქროს სიმებს,
შენს საღმრთო თმებს ყელზე ვიხვევ ვით ზამბახი უვართა მძივებს,
ცისკროვნებ და მეც მაცისერებ, ვეჭსოვებით მზის ცეცხლ სხივებს!
მაგრამ გაჰქერ, გარდავიქმენ კლდის მონაკვეთ მღვიმის კარად,
ღვთის ხატებად შენა გსახავ და გევლები თავს კამარად,
და, ვით მწირი ლოცვად მდგარი ფილაქანზედ თავს სუხებს მარად,
ისე გიმზერ მუხლ-მოყრილი, ლოცვას მივლენ ციურ ზარად.
ამა, გულში მოვამწყვდივ, ბასო კლანჭება მოის არწივი,
სისხლით ნელ-ნელ ვასაზღოვებ, მაგრამ არ ვკვნეს ბრძად არ ვწივი,
უდაბნოდა გარდავიქმენ, ვმოგზაურობ როგორც მწირი,
უსიკოცხლოდ მოხიცოცხლე, პრმა ბედისგან განაწირი.
გულის ფიცარს, ვით კუბოს კარს, დამხვევია სევდის ჩრჩილი,
მღრუტნის, ყრუ ღრღნა ყურში მესმის, გადმეფარი თავზე ჩრდილი,
საღლა ვნახო კვლავ სიამე? საღლა ვნახო ია შლილი?
ჭირმან აღრე მისაფაროს ობლობისა პირში შეიღო.
თმა გლეჯით ჭერის ქარიშხალი და გუნდრუკად ჩემს სულს აკმევს,
სასძლოს ხელით ნაქსოვს სამოსს საიღუმლო თალხად* შაცმევს,
რწმენას მტაცებს, ცხოველ რწმენას, სანთლით გინთებს შენ—ღმერთთა-ღმერთს,
და მჭერარ ღაწვზე მოაცურებს ათრთოლებულ მის ცრემლთა ღვენთს!
სიჭაბუკის ქალწულ სიბრძნეს სევდა აცმევს კაბა თხელსა,
ყრმა მოვხუცდი. ცად ვერ ვაპყრობ სასოების მთრთოლავ ხელსა,
მიდის ღამე... ღლე... კვლავ ღამე... ვეოვისები სარეცელსა,
ჩემგან შეკრულ წმინდან კუბოს დავაწვეთებ ცხარე ცრემლსა.
ვინ მომხადოს ცრემლით პირბადე ნიავ-ქარის მჭრალ სახოციო!
გული გულად ვით ავაძინო, თუ არ უძრავ ჭირთ აღხოციოთ?
მაგრამ, ეპა, გაჰქრა ესეც! მის ნაშთს ვმურავ ვალისამოსით,
სასოების სასოების ჩემებრ ვკვალთავ შავ სამოსით!

ლურჯ ზეცასა სარკმლით ვუშჩერ, ზეაცს ვარსკვლავთ ხელით ნაქსოვს,
მაგრამ ფასი მის შშვენების დამკარგვია, აღარ მახსოვს,
ირგვლივ ბნელა... ციაგთ რკალის სხივოსნობა არა არა ნათობს,
მხე არ შეეობს, თითქოს თბილა, მაგრამ სითბო თვით არ მათბობს.

Candide.



საქართველო
განცხადება

ქართველი თავადი შვილი, ნახატი ეისნერისა.

კურნალ-გზეთებიდან

ეხლანდელმა ოშმა გამოიწვია ლაპარაკი ყოველ პატარა ერზედაც კი, რადგან ეროვნული პრინცი და გრძნობა ლეიტ-მოტივად გადაიქცა მსოფლ-მხედველობათა ბაზარზედ. მხოლოდ ქართველ ერზედ არსად არაფერი იწერება, არც არავინ ახსენებს, გარდა ისევ თვით ქართველებისა. ჩვენ თვითონვე კი მრავალ ლაუვარდოვან იმედებს ვამყარებთ ამ ოშზედ და ეს იმედები სხვა და სხვა ქართველების გამომეტყველებაში, სხვა და სხვა ელფერს იღებს. მოგვყავს ერთი ახალი, ჯერ უცნობი, ორიგინალური იმედი, რომელიც დაბეჭდა ვინმე „ვანო ზირბიტელმა“ (?) „რუსკ-ვედომოსტში“:

ოში და ქართველები.

საქართველოს ბჭებულ ფში იწყება. თსაღეთშა

შტრული მოქმედება დაწყო რესეთისა დმი. შარვა-ზად არ უხდებათ ქართველებს ასმაღებთან ბრძოლა. მრავალ საუკუნესა განმავლობაში, საქართველო იგერიებდა ასმაღებს და იწრთაბოდა ბრძოლაში. სშირად და ბეჭრს განიცდიდა საქართველოს თსაღეთისაგან, მაგრამ სშირადუე ასმაღის ჭარი დამარცხებული იყო და ჰქვებული.

საუკუნეთა შსვდებობაში საქართველოს ბრძოლით შეინარჩუნა ხელუხლებლად თვისი საუნჯერი — დამთუებიდებლობა, ესა, სარწმუნოება და ჩააბარა თავისი ბედი რესეთს. ას წელიწადზედ შეტა ქართველები მონაწილეობი იქვენებ რესეთის ღმისა თსაღეთისან და ეხლაც, ახალ ღმში, ღვთის და გამარჯვების იმედით ქართველები სიამაუით გრძნობენ, რომ მათ სამშობლოს უხდება ბრძოლა რესეთის წინა რიგებში. მაგრამ ამ ღმს ქართველებისათვის სხვა დიდი აზრიცა აქვს. მთელი საქარ-

თეველი არ შედის რესერის იმშერიაში: მთელი
სამსახური საპირი შავი ზღვისას ტრაშიზონსაშე გ
დასხველებულია დაზებით. ისინი ქართველებია არან
დადი ხნიდანვე ჩამოშორებული საქართველოს თს-
მალებისაგან. ისინი გავა გამაჭუდიანებულია არა-
ან, მაგრამ ქართველებიდ დარჩენენ. რადგან შეის
ხეს ენა, ჩვეულებაზე და სხ. მათ არა ერთხელ
მოუგრძებით თავისთვის თავი ქართველ პრესაში.

ესდა მათთვისაც დადგა საათი, როდესაც მთელი
ქართველია შეერთვება ერთ თვასად. დღეს ისინი
თამაღეთის ქავეჭრდობის არაან, და ხვალ ქარ-
თველ პატრიატებიდ დარჩენილია, — ისინი რესე-
რის ერთგული მოქალაქეები აქნებან...

კვირის 12 საათზედ აბალ კლუბში დანიშნუ-
ლი იყო კრება ქ. შ.-კ. გ. საზოგადოებისა და
როლის უწნაურობის გამო გადაღებულ იქნა შემ-
დეგი კეირისათვის. თუმცა საზოგადოება ბლობილ
დაესწრო და კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ნახევარი
საათი შეეცადნათ იმანაგობა „ქირთლის“ კურ-
თევიდან მოსულ ხალხისათვის. ასეთი უწნაურობა-
ნი, საუბედუროდ ბევრია ჩვენს საზოგადოებრივ
ცხოვრებაში.



ოსმალელი მილიციონერი

6. ნიკოლაძის წერილი

1877 წლის თარიღით ძველ გაზე „ლიონგბა-
ზი“ შემდეგი წერილია დაბეჭდილი, ნამდვილისა.
წერილი გამოწვეულია მაშინდელ საზოგადოების
ომის გამო და მცხოვრებთათვის ეხლაც არ ირის ინ-
ტერესს მოკლებული

ეხლა ჩვენ იმაზე უნდა დავთიქრდეთ, თუ მო-
მავალის ომის დროს როგორ უნდა მოიქცეს ჩვენი
საზოგადოება.

— „ამას რაღა ფიქრი სჭირიაო — იტყვის მკით-
ხველი, — განა საქართველო თუმი გამოუცდელია,
განა ჩვენ ან ჩვენ წინაპრებს ომი არ უნახევთ, გა-
ნა ჩვენში ცველამ არ იცის, რომ ომის დროს კაც-
ია ლეკურს ხელი უნდა გაუსვას და მტერს კუდით
ქვა ასროლითოს!“

მართლაც, უწინდელ დროში, როცა ჩვენ
ქვეყანას მტერი მოაღვებოდა, ჩვენში ყველანი ია-
რაღს ხელს ჰკიდებდნენ და მტერს თავზე ესხო-
დნენ. კაცი და ქალი, დიდი და პატარი, მოხუ-
ცი და ბავშვი, მღვდელი და ერის კაცი — საზოგა-
დოთ ბრძოლაში ყველა მონაწილეობას იღებდა. ვი-
საც იარაღის მბარება არ შეეძლო ის ჯარს საზ-
რდოს უზიდავდა, ან მტერს გჩებს უხდენდა, ანა
და მისგან დაკავებულ სოფლებს ცეცხლს უკიდებ-
და. გაქცეულს მტერს კი ხომ, მთელი ქვეყანა თავ-
ზე ესმოდა ასაკლებლად და გასაგლეჯად.

იმ დროს ომი ისეთი ბრძოლა იყო, რომელ-
შიაც პირდაპირ მონაწილეობას იღებდა ორივე მო-
წანიალმდებელ ხალხი: მთელი ერთი ხალხი მთელ
მეორე ხალხს შეეტაკებოდა. დედაბერზე უარესად
ითვლებოდა მაშინ, ორივე ხალხის თვალში, ის,
ვინც ომს ერიდებოდა, და ომში პირდაპირ მონა-
წილეობას არ იღებდა.

ეხლა კი ომი სულ სხვანაირ სურათს წარმო-
ადგენს. ეხლა ომი დუელია ორ სახელმწიფოს
შუა. ორივე ხალხი გზავნის საბრძოლველიდ თავ-
თავის ჯარს, და ომში მარტო ამ ჯარებმა უნდა
მიიღონ მონაწილეობა.

1874-ში ჩვენში ხელმწიფემ ისურვი ხალხი. თვის ომების სიმძიმის შემსუბუქება, ამ განზრახვით
ჩვენში მმართებლობამ მოიწვია პრიუსელში კონცე-
რენციაზე ყველა სხვა სახელმწიფოების. წარმომად-
გენლები, და წირუდვინა მათ გასახინველად მის-
გან შედგენილი „პროექტი ლმის კანონების და
ჩვეულების“. ევროპიელი სახელმწიფოების წარ-

მომადგენლებმა გასინჯეს რუსეთის პროექტი, შეიწყორეს. შევსეს, და შეადგინეს საზოგადო „დეკლარაცია“, რომელიც დღეს თითქმის უმველეს კანონიდ ითვლება. ეს დეკლარაცია, რომელსაც ეწოდება „ბრიუსელის დეკლარაცია 27 აგვისტოს 1874 წლის“, თავის დროს გამოცხადებული იქნა რუსეთში, მმართებლობის მხრით, „Правительственный вестникъ“-ში. დღეს ჩვენ საკიროდ ერთა გვახსენთ ჩვენ საზოგადოებას ამ დეკლარაციის ზოგიერთი მუხლი.

დედა აზრი ამ დეკლარაციისა იმაში მდგომარეობს, რომ ჯარი, რომელიც შედის მაწინააღმდეგ გვს ქვეყანაში, ან უნდა შეეხებოდეს არც შშვილობიან ხალხს, არც კერძო პირების ქონების. ამ ჯარს უფლება აქვს დაიკავოს მხოლოდ ის, რაც თვითონ მმართებლობის ეკუთვნოდა: ხაზინის ფულები, ასენალები, იარაღი, ყაზარმები, და აგრედვე რკინის გზები, თოფ-იარაღის ქარხნები, რომელნიც სხვა და სხვა საზოგადოებათ ეკუთვნიან. სასწავლებლები, პოსტიტლები, ეკლესიები და სხვა ამგვარი კაცო-მოყვარე ან საშეცნიერო დაწესებულებანი, თუნდა მმართებლობის საჭუთრებასაც შეადგენდნენ, მაინც ხელუხლებლად უნდა დარჩნენ, ისევე როგორც საკუთრება ქალაქებისა, სოფლებისა და კურძო პირებისა (მუხლი 6, 7 და 8).

მეობრიათ იცნობა ის პირი, რომელიც ეკუთვნის მეომარ ჯარს, მილიცია (ოპოლჩენიე) და ვოლონტერების რაზები მარტო იმ შემთხვევაში იცვნებიან მეომრად

ა) როცა იმათ მოთავეთ ანუ უფროსათ იმისთანა პირი ეყოლებათ, რომელიც პისუხისმგებელი იქმნეს თავისი ხელჭველების მოქმედებისა;

ბ) როცა იმათ მითვისებული ექნებათ ისეთი ფორმის ნიშანი, რომელიც შორიდან ადგილად გასარჩევი და დასანაზი იყოს;

გ) როცა იმათ იარაღი აშკარად, და იმა დაბილულიდ ექნებათ დაკიდებული;

დ) დ) როცა თავიანთ სამხედრო მუშაობაში ისინი მტკიცედ დაიცვენ ომის (ეს იგულისარის) კანონებსა და ჩვეულებას (მუქურუ და კინა). კანონებსა და ჩვეულებას (მუქურუ და კინა).

შარტო ამ გვირი პირები შოტლების შემთხვევად, და მარტო მათხე გავრცელდება „დეკლარაციის“ დებულება სამხედრო ტუვებზე. უმველი პირი, რომელიც ჯარს ან ამგვარ მილიციას არ ეკუთვნის, და ისე იმში გაერევა, ან გზას წაიხდენს, ან ტელეგრაფს, ან ჯარს ეწინააღმდეგება, ან სხვაფრივ როგორმე გამოიჩენს ბრძოლის სურვილს, სასტიკად და განურჩევლად ადგილზევე დასჯილი იქნება...


„დეკლარაციის“ შარტო ერთ შემთხვევისთვის პატივი უციი, და შარტო ერთის მხრით მიუცი ხალხისთვის ბრძოლაში გარევის უფლება აი ას ამბობს დეკლარაციის მეათე მუსლი: „მცხოვრებნი ჯერ კიდევ დაუკავებელი მხარისა (ძლიერისა), რომელნიც მტკიცის მთახლოვების დროს თავის ნებით დაიარაღდებიან ნტერის საწინააღმდეგოდ, და რომელნიც, თანახმად მეცხრე მუხლისა, მომზადებას ვერ მოისწრებენ, უნდა ჩაითვალნენ მეომარ მხარედ, თუ კი ისინი ომის კანონებს და ჩვეულებას მიკიცედ დაიცვენ“.

დანარჩენი მუხლები ბრიუსელის დეკლარაციისა შეეხება სხვა-და-სხვა წვრილშან შემთხვევას. ჩვენთვის კი აუცილებლად საკიროა დავისხმოთ ის მუხლები, რომელნიც ზემოდ გადმოვთარგმნეთ.

ეხლო, ამ მუხლებიდამ, ჩვენ აი რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ.

სადაც უნდა იყოს ბრძოლა და ომი, შეიძლება უნდა გაერიოს, გარდა იმ პირებისა ვა საკირო მთავრობა მოუწოდებს და რაზმში ჩაიყენებს, იარაღის და ფორმის მიცემით.

რკინის და უბრალო გზებს, ხიდებს, ტერეგ-



მოტორებით გადაზიდვა გერმანულ მძიმე არტილერიისა.

რაფს, სამხედრო გარებს, ჩვენი იყოს, გინდ მტრისა, სრულიად არავინ უნდა შეეხოს, გარდა იმ პარებისა, რომელიც ჯარში ჩარიცხული არიან.

ვინც ჩვენგანი ჯარში ჩარიცხული იქნება, იმას ნიადაგ უნდა ახსოვდეს, რომ მტრის კერძო საკუთრების ის ხელს არ უნდა აზლებდეს, თორემ სასტრიკად იქნება დასჯილი.

და თუცა — სტრატეგიული საჭიროების მიხედვით — მთავრობამ ისურვა ზოგიერთ ჩვენ საზღვაოთან მხხლობელი სოფლების უჯაროდ დატოვება, ჩვენ ხალხს სრული უფლება იქვს დაიარალდეს და რაზმად ჩადგეს იმ განხრახვით, რომ წესიცები დაიცვას და მტრის წინააღმდეგობა გაუწიოს, ავ ცარცვის ნება არავის მისცეს. შაგრამ იმ „შემთხვევა მიაც საჭირო იქნება, რომ დაიარალდებულმა ხალხმა რამე ფორმის ნიშანი ჩიილოს და თავი-კაცები აირჩიოს, წესიცების დამცველად, რაზმის ვასაწვითონელად და „ომის კანონების და ჩვეულების“ მტკიცედ შესახავად.

ერთი საზოგადო კანონიც უცელამ გულში ლრმად უნდა ჩიინერვოს: მმიანობის დროს ცარცვა და გლეჯა, ჯარის ან კერძო-პირების საკუთრების შეხება, სამხედრო აშშების მიტან-მოტანა ითვლება ისეთ საშინელ დანაშაულიდ, რომლის თვისაც დამნაშავეებს ოც-და ოთხი საათის განმავლობაში სიკვდილით სჯიან. ჩვენი ხალხი უოველ ამნაირ საქციელს მარტო სიკვდილით დასჯის შიშის გამო კი არ უნდა ერიდებოდეს: ამგვარი საქმეები სანიადაგოთ თავსა სკრიან მთელს ხალხს, და საზიულიარ ხახელს უგდებენ მთელს ქვეყანის დანარჩენ დედამიწაზე. უოველს ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს რომ თმის დროს მთელი ეუროპის ყურადღება ჩვენ ქვეყანაზე იქნება მიქცეული. როგორც რუსეთის, აგრედევ ევროპის თვალში ჩვენი ხალხი უნდა გამოჩენდეს მხნე, პატიოსან და რაინდულ ხალხად, იმისთანად, რომელიც პატიოსცემის ლირსია სამხედრო მამაკობისათვის, და ხეირიანი განწყობილების ღირსია მოქალაქობრივი პატიოსნების და წესიცების დაცვისათვის. ერთი სიტყვით, ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარ საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევიწყენთ დღემდი პატიოცემულ სახელს, ნუ გაურევთ ბრძოლაში ნურც ავაზაკობას, ნურც სიმხდალეს; ნუ ვეძებთ პირად სარგებლობას, ნუ დავივიწყებთ ურთი-ერთის დახმარების საჭიროებას, ნუ დავიმალებით სოროში: მაშინ ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ას-

წევს საქართველოს ხახელს, და მტერსა და მოყვარეს დაანახვებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატიოსცემის, მორიცების და კეთილდღეობის ლისია.

ვიმეორებთ, რადგან დღეს, ომი თუ / იქნა, მთელი ქვეყნის ყურადღება ჩვენ ქვეყნაზე — რა ხალხზე იქნება მოქცეული, ჩვენი მამულის ყოველშა ერთგულმა შვილმა უველაზე უფრო იმაზე უნდა იჩრენოს, რომ მთელმა ქვეყანამ საქართველოზე აი ამ გვარი მთაბეჭდოლება შეიღვინოს და ამ გვარი აზრი იქონიოს... („ახალი ივერია“).

ბ-6 6. დუბროვსკის

ჩვენ სირქცვილიად კი არ მიგვაჩნია, ვამაყობთ იმით, რომ ნაციონალისტები ვართ და თუ ამ ნაციონალისტობაში ბენი დუბროვსკები ობიექტივობის დამარხვას ხედავენ და ჩვენი ხალი ნაციონალიზმის და „რუსულე ზნაშიას“ სულისკვეთების შორის ვანსხვავების არა გრძნობენ — სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ დუბროვსკიც იმ ბანიკია, რომელსაც სურს არა სოლიცარობა, ირამედ ვაჟკვეფა ერებისა. სოლიდარობა შესაძლებელია ცალკე პიროვნებათა და ორგანიზმთა შორის, მაშინ როდესაც გათქვეფა გულისხმობს აღრევას და საერთო ორგანიზმის შექმნას. ბ.ნშა დუბროვსკიმ ამ მთავარ საკითხზედ პასუხი არ გავვცა და დიდი წერილი იმას მოსანდობა, რომ საკინკლო ფრაზებს გამოუდგა, რაც მის არა შესაფერებელ საქმედ მიგვაჩნია. როგორც ობიექტიურს და დარბაისელს ადამიანს, მას არ უნდა გაემწვავებინა ის მდგომარეობა, რომლის წინააღმდეგაც იბრძვის. თორებ აბა რა სათქმელია მაგ, ასეთი ფრაზა: „კლდეს“ არ შეუძლიან მოიყვანოს არც ერთი ისეთი საბუთი სომხების წინააღმდეგ, რომელიც არ მოიპოვებოდეს „ნოვო ვრემიას ‘არსენალში’“. ჯერ ერთი ეს უბრალო ლანძლვაა; „ნოვო ვრემიასთან“: შედარება და ლანძლვა საბუთი არ არის და მეორეც სომხების წინააღმდეგ კი არ იყო ჩვენი „შეიდი კაპრეი“, არამედ იმ ქართველების წინააღმდეგ, რომელნიც ფულად ჰყიდიან თავის ქართველობას. ჩვენ არ გვინდა დავასახელოთ ეს პირები, რადგან დაუსახელებლადაც კარგად იციან თვითონ, ვინც არიან. მეორე ხაზგასმული თავის მართლება ბ-ნ დუბ-

როვსკისა იმავია, რომ იფი თურმე ამბობდა, რომ
ნაციონალისტები და შოვენისტები გამოდიოდნენ
ერთიერთმანეთის წინააღმდეგ. მაშასაღამე მე
ვლაპარაკობდი ორივე მხრის შოვინისტებზე. ბ-ნ
დუბრივსკის ტყუილად ავიწყდება, რომ დიდი
წინაშენელობა იმას კი არა აქვს მხოლოდ, თუ რას
ამბობს ადამიანი, არამედ უმთავრესად იმასაც თუ
ხად, როდის და რაზედ ამბობს აზას. და პირველ
ჩვენ წერილშიაც სწორედ ამას მივაჭირეთ უკრალ-
ლება. იგი სწერს შოვინიზმზედ სომხურ გაზეთში
და ამის გადათქმას ქრისტელმერთიც ვერ მოახერ-
ხებს, იგი სწერს მაშინ, როდესაც ჩვენი წერილი
პასუხი იყო ზოგიერთი სწორედ, კავკ. სლოვენის
შოვინისტური და უარესი ამბებისაც, რომელთაც
სამხედრო ცენზურამ ყადალა დაადგა და მესამეც,
დუბრივსკიმ მიზანში ამოილო ჩვენი,, შვიდი კაპიკი,, ტ-
უნდა დაარწმუნოს მკითხველები, რომ ეს თურმე
ერთიერთმანეთის წინააღმდეგ გამოსულ სომხის და
ქართველი შოვინისტების დასაგმობი წერილი იყო.

ამას დავიჯერებდით მაშინ, როდესაც ბინი
დუბრივსკი გაჩერდებოდა თავისი წერილის საზოგა-
დო მოსაზრებათა ნაწილზედ და არ ჩაუტევდა სიტ-
ყვას კონკრეტულად არსებულ „შვიდ კაპიტელ“,
—სიტყვას, რომელიც „ერთი კოვზი კუპრივით“
ს. 76 აძლევს დუბრივსკის წერილის მთელ ობიექ-
ტიურ თაფლას.

შემდეგ დუბროვსკი უფრო შორს შიდის და
აძმობს, ვითომ ჩვენ ვგმობდეთ ხაზოგადოთ ქართ-
ველების თანამშრომლობას თუნდა სომხურ პრესა-
ში. არა, ბატონო, ეს შეცდომაა, ჩვენ ვგმობთ
არა ამას, არამედ იმათ, ვინც ქართულ ინტერესებ-
სა ჰყიდის საზოგადოო, ითანამშრომელებს იგი სომ-
ხურ, ქართულ თუ პოტენტოტურ პრესაში — ეს სულ
ერთია. თორებ, იმათ, ვინც ჩვენს ინტერესებს იცავს
თუნდ იმავ პოტენტატურ პრესაში — ჩვენ ვერ და-
გძინდთ, ეს თქვენი საკუთარი შეცდომა არის და-
სხვა არაფერი. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ,
რომ თვით ბ-ნი დუბროვსკი გულწრფელი კეთილის
მსურველია ქართველი ერისა და სწორედ ამან გა-
გვაუკირვა, რომ დღეს, როდესაც ატმოსფერი სო-
მენ-ქართველთა ურთიერთობისა დაწმენდილია, იგი
ხმას იმაღლებს და ამბობს, ხახს უსვამს ქართველე-
ბის შოვინიზმს, რომელიც მან აღმოაჩინა ჩვენს წე-
რილში „შვიდი ქაბიკი“, რომელიც თურმე ჩვენ
გვარცხვენს. ბ-ნი დუბროვსკი, ქათაში რომ წყალს
დალევს, ღმერთს შეხედავთ (ისიც ითხოვთ ბოგა!).

ერთი უცნაურობაკ: ჩვენ საპასუხო წერილში

სოლიდობის დარღვევა არ დაგვიწამებია დუბროვ-
სკისა ან „კავკ. სლოვოსათვის“ — ეს უტრალო შეც-
დომაა, ჩვენ ვამბობდით, რომ „კავკ. ხი. 1“ აღრე-
ვის პრინციპით ხელმძღვანელობს, დრული არ არის სილიდა-
რობისა და ბ-ნ დუბროვსკისა ცენტრული აღმაღ
დარღვევად წაუკითხავს: აქედანვე წარმოსდგება
ალბად ისიც, რომ ოვით სომხებსაც არ მოსწონთ
„კავკაზისკო სლოვოს“ პოზიცია, რაღვან ყოველ
შეგნებულ ერს შეგნებულად სურს ოვისი ერთვნუ-
ლი, ინდივიდუალური საბის ჩიმუყალიბები და არა
ათჭეფული რაიმა საერთო ახალ სახეში.

თეატრი და ხელოვნება

განავეგრძოთ თუ არა სათვატრო სეზონი.

აგრ თრო კვირაა, რაც ჭარო. დრამ. საზოგადოება
მა კრებულს მარაზეს სათავისურო კითხვების გადასაწყის
რად. მასგან ახმაურებული საზოგადოება უკის სრებეტს.
წარმოდგინეთ, მორიგ ბოლოტივებ და სოციალურ კით-
ხებითან ურთად დღეს დადა ინტერესით კურობა საზო-
გადოება ქართულ თეატრსაც. თქმა არ უნდა, ეს აშტკ-
ცების ჩვენს სიუკავიზეს, ნების კსოვილების. ეს ერთის
მხრით საქართველო არის ძაგლამ როდესაც თვალი გადა-
ვდებო კრებების, როდესაც დაჭხედავთ დრატულთა თავ-
შეუკავშირებას, ხშანად უკინჩილება კინკლაობაშე გადა-
სულ შეგაფახტას, მაშინ უნიტურად ფრთხები გრევით,
გახრეით კრებას უძღვეთ და ეპიონებით თავს, ნაცია ეს
ხახა მოგარიდან ხდეს არ ჩამოსულან, რომ ურთმასხეობის
არა გამარჯო რა და ა ც სურ გათვას. დრამ. საზ.
გამო დაის წევრისა გად წრით აცხადებდნენ, ჩვენ აფარ
შევიდათ ას სეზონის გაგრძელება რადგანაც ფული არ
არია, ჩვენ ბევრი რაი დამცირება აფიტინებ, დოფგანის
ფარით ვძებნეთ მად ც კა შეს ძლებელი გვეკრის, მაგ-
რამ წეველი ფული გერსადა გრახვით, თავისის განგებ
გვემალებათ. უფერდად კა რა გამათებულა, რომ ეხდა
გამეთვეს? განა არ დაისახეთ, რომ ამ შინუზების გა-
მოისად თვატრი კერ დაგვაჭირების ისეთ სკოლაურებ
შირობები, რომ მსახიობთ თრჭელ რეპეტიციების გა-
მართვა შეუძლითოდ. თქმა არ უნდა, და კარ შესძლებას,
რომ განზრახული პიესა სასურველი დასდგას სცენაზე.
საზოგადოებაც ასეთ წარმოგენებით გულს იცრებს, არ
ესწრობა და დაფიციროთ თავდება თვითურება მათგანია.
ია, ბ-ნები, მოიდეთ წევრობა, მიგვითითეთ, გვაჩერენ

გზა და ჩვენი უფლება დონეს ვიხმართ, რომ სეზონი გავრცელდეს. შერე რა მთხდა? იმის მაგივრ, რომ ამ კითხვას სეზონზედაც ჩატკირებოდნენ, მთხელენ ბატონი ჩემთ, ლანძღვას, ბირად ანგარიშებს. მსახიობი თავის იქნებ საშაროაზიან პრეტენზიას აცხადებდნენ, რომ ახალდა კამპენია ამოვარჩით და ის გვიშველის უკალაფერშათ. მაგრამ სად არის გარასტია, რომ ახალი გამგეობაც ისევ დაკუთვნილ გზას არ მაჭიმართავს, ვოქვათ, თუნდა ისევ ებაზ აღებულ თავად-აზნაურობას; მაკრამ ხომ გამოირკვა, რომ ჩემის ვაგად-აზნაურობას ზედმეტის გაღება აღარ მეუძღვან: ანგარიში მომავალ წლის პირველ იანვრამდე უპირ შესრულებულია. გამოირკვა ისიც, რომ თეატრისთვის საჭირო თანხა უპვი მოსმირებია დახომნედებას. ესეც არ იყოს, ჩვენ უნდა გაცოდნოდა, რომ დღევანდებ მომენტში თვითებული პატეიტი ძვირობასთა, მეცენატობისთვის აღარ სცალია ხალხს. ვიმეორებო ღლეს, როდესაც ცხრავებამ უფრო მემჭარავი საკითხები წამოაუენა, ვიდრე თეატრია. ხალხი გადატაცდა, ხალხი შინ და გრევ შევლას ოხოურიას. და იქ, სადაც პჰესისა და ბჟიას წელები წამადს ითხოვს, ესთეტიკი გითხვები შედარე პლანზე უნდა იყვნებ დაუწესებული. მართლაც კომისია იქმნა ამორნები ფულის საშორენებად, შეიძლება ისიც, რომ მართლა საჭიროა იმ იქნება კამპენიას გამოიხადოს სეზონის სეზონის გასაგრძელებლად, მაგრამ... სადამდინ იქნება ეს -გაგრძელება“ ამას ახლა მომავალი დაგვიმტკაცებს. მეორეც, არა ხაულებ საგულასს სმიერთა ას ფაქტი, რომ დღე-დღეობით ირსებულ გამგეობასა და დასს კრთავ მემაბია არ მეუძღვანთ. ეს ცხადი იქმნა კრებებიდან. კამითიდან აშენა შეიქმნა ურთიერთისადმი უნდობლობა გამგეობის თავშეჭდომარებით სედ დატერგა წარასწორება და უტაქტობით დამსრულები ადგენერა. და საკვირკებია, რამა დასტირდათ კომისიის ამორნები ფულის საშორენებად იანვრისაგან. ნუ თუ ეს ფრაზა საჭმარისი არ არის, რომ ამ პირობებში მართლაც, შეიძლება უკალაფერი გაგრძელება. უკალაფერი შემთხვევაში თუ მაინცა და მაინც არ დამდინარ, ისევ სჭირო გამგეობამ და დასმა სწრაფად ანგარიში გაასწორონ, არტისტების სრული დაკავეთებით და დამთუშებილები იმუშაონ. დასი თავისით

მემდება ამხანავობა შექმნას და დრო-გამოშეებით დასდგას პარენტი, ცოტა, მაგრამ კარგი, უღლეს/ რეკულა-რელად და აჩქარებული სახით, რეაციული-რეაქციისორებით და არტისტები უარყოთენ: „ჩვენ-თავი უკალაფერი როგორ მოგვიხდათ!“ მაგრამ საზოგადოებამაც რა ჰქნას, თუ კაფეებით ჯიბიდან თუ კრომის გაიდებს და იმის საფასურისაც არა სახავს?

დაოგვენი.

„გადაჭრილი მუხა“ ქუთასში.

ბევრი ლაშ გვინახავს უნიჭო, უზრო და თაგხედური, მაგრამ ის რაც ქუთასის თეატრში გნახეო 30 დღინობისთვეს—უკალა საზღვარს იუდ გადატებებული. ქართულმა დასმა წარმოადგინა „გადაჭრილი მუხა“ ბ-ნ შადიკა მევილისა. რამდენადაც კარგი რეჟისორი და გვარისა, შეგნებული არტისტია ბ-ნი შადიკაშვილი, იმდენად უგბილი და შესძლალისი, როგორც „დრამატურგი“ ?!). გადაჭრილ მუხაზე წინადაც გვეხნდა შენიშვნა, მაგრამ მკითხველმა თავისი თყალათ უნდა ნახოს ეს მუხა ქვეასში, რომ დარწმუნდეს სადამდინ მიღის აღამიანთა უტავორთა. ეს პირდაპირ მსხარე : გდება ქუთასის საზოგადოებისა და ჩვენ გვიპვინს, რომ ასეთ უარის მდგრამარებელია ჩატარდებით, რომ უოველ რეჟისორს შეეძლია თავისი ნიღბები შესთავაზოს. მაგრამ გადაჭრებით თვით შესაზე და შის წარმოდგენაზედ. ამ ბიქსის დადგმას კიდევ აზრი წერდა პირველ ხანებში, როცა იგი დაიწერა, ან უბეო, გადაწერა და შეკრის საკაზურთ ფელეტონებისა, წერილებისა და შაბლონად გადაქრეცხულ აზრებისაგან. იმ აზრებისაგან რომ ინტელიგენცია უნდა სთველს დაუბრუნდეს, თავისი მამული დამუშაოს და გაუიღესაუც დაიბრუნებოს. ეს პარენტისაგან აზრები გაზევიში, რაღაც უშიო, უდგილო და უნიათო და-სარაგად არის გადაჭრებული მაღიკაშვილის პიესაში. მთელი საათობის განმავლობაში, მაუკრებელი ისმენს „რაცებს“ და კი ვერ ხელავ გერც მოქმედებას, გერც კერძოს დასტესას პიესისა. მაღიკაშვილის მოუკავნებია იმისთვის ტაქტი, რომელიც გამგებლის მარტო მას უნახავს და ისიც საჭარეულოში გა არა, არამედ... მასკონის საშატრუთ თეატრში და...

ჩეხოვის პიესებში, მაგრამ უამ საცოდათბის: ჩახვასაც ხომ ჭეშა სუინთა. მნელი წარმოსადგენია იმაზედ უნიკატ შეხანხლიდა ადგილები პიესაში, როცა მაგ! „გარდა გამოჰყავს“ გუბერნატორის სადილიდან მასპინძელი და ურთ საათს გარშევება ბაღში. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მი ღრმის კუმენატორის პირში ჩაუდგია დაშის ნაკერი ან გამეჩის ხთრცი და ფეხსაც, ღერძის იმ დროში, სანამ ბ.ნი შალიკაშვილი მთარმავე „წევილს“ თვას საქმეს გააკეთებინებს, დალექვინებს სამართლის სიტყვებს და ხელს მისცემს გუბერნატორთან შესვებისას. ურვალად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი არამცუ მხარეობის ნიში, უბრალო ალდოსაც, რომ საზოგადოების აკლინის ისეთი ტემატი, როგორიც არის მაგალითად. ერთითხვის მოქლები ღემის „სამშობლო ხევსურისა. ეს დიდებული ნაწარმავება სრულიად უადგილოდ ჩაკრწიებული პიესაში და მარარა შეგინდის შირით ნათქვამითავიდან ბოლომდე, რაღაც უცკრწულობასა ჭაბადებს მაუკრაბებში: ერთის შირით მშეგნიერი სიტევები და შეთრუ შირით მათ უმოქმედო სიტევერება არტისტებისა და საზოგადოებასაც არცხვებს. არა ნაკლება ურიკანით არის მეოთხეული სხვა ადგილებიც და ნამეტნავალის ადგილი, რომ უმარტივი ხინოვნივი ცაცა (ომერთო შეგეცდეს, ასეთი არა შეგვხვედრია) სიგვარულს უწავადებს გარეჭილ კატი, რომლის შეგავსი მოქლე სასაქრთველოში მხოლოდ მაღივაშვილის განებაში შეიძლება იყოს, თუ ამ განასკნელისაც საქართველოს ფარგლებში მოვაქცეთ. მაგრამ, როგორც მოსალოდნელია უნიკატის აპოგეის გაღწევო უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც უკელა მოქმედი პირი, აკტორი, ქალი, ქაცი ბავშვი და ბებერი, თავით რესის შუალედ გი უკელა აზრიანობის „გადაჭრილ მეხაზედ“, აველანი ღერძენ ერთსა და იმავე აზრს, ეპელაზი თათოვი, ჯოხო, ხელით, ფეხით და რითაც გნებავთ უთითებენ მუხის გუნდზედ და აკანგუნ მაუგრებელი, ერთო-ერთმანეთს და აკტორს, რომ ეს არის სიმბოლი საქართველოს ცხოვრებისა. მუხის ძირი, ფეხები, როტები მუელი და ახალი, მუხის ქერქი, გადან, ფოთონდან და მგრი ფოთონის ძარღვისაც არ გადარჩი შალიკაშვალს მეუმნეველი, რომ „იდაორად დასხელ“ საზოგადოებას არ ეგთხოს რომ „გადაჭრილი მეხა“ რაღაც სხვა არის — არა — ეს ნამდგი-

ლი საქართველოს ბედის სიმბოლითა, მისი დამასურათებელი კუნძი. ასეთი გადაჭრის ბებელი და კადებ დამარცავი მუხის მნიშვნელობაზედ მის დარღვეული, გაზრდაზედ, მემელგაზედ და სხვა საქართველოს მასშტაბების იმ უძინაათსობისა, რომლის შეკუპასაც ამირებიდა აგრძელი პედალის ტიპის ნაკლებებიდან.

დასასრულ თრთლე სიტევა წარმოდგენაზედ. დიდი და ნიჭიერი არტისტი გ. მესხიშვილი (ლევან), დგიოს ნაპერწელიანი იშხნელი (მოურავი), თვით შეგნებული და გაწერთნილი შალიკაშვილი (გოლა) ერთის შერით, — და ნიჭიერი, მაგრამ უწერთნელი დაკითაშვილი (გატო), და მსახურებული გუნა (დეორნიკი და თავადი). შესმენილ ნიჭიერი მგაღლიბლიშვილი (ცაცა) და ურვალად უსაღრუები და სცენაზედ არ გამოსაშები მარგარიტა გოგოლიშვილისა (გოლას ცოლი) — მეოთხე შერით, — ერთხანისად უშენის და უმსგავსი იუნენ იმ უალბ მდგომარეობაში, რომელშიც ჩააეჭია ავტორი და რეჟისორის საზოგადოებას წინაშე. ნებ ბავკვირს, ავტორის თავმოუვარეობა თუ იმდენად ეჭიერია, რომ გადასტუროს დრამატიკულ საზოგადოების, არტისტიულ დასის და ცალკე არტისტების სურვილი, — ნე თუ თვით ქუთათურ საზოგადოებაში არ მოიპოვება იმდენი სამრთლესიტო მაღა, რომ ამ მუსიკებულ, ანტიმსატერიულ და ანტი-ესთეტიკურ სიბრძნე-სიცოლეს გულამდებელები პროტესტით შეხვდეს?

რა.

ლელა ქართველი

6. გაბაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.



ცოდნელ კვირულ საზოგადო-ეკონომიკურ

და სალიტერატურო უნივერსიტეტის შემსრულებელი

„პლაზმა“-გერ.

ფასი წლის ბოლომდის თვრამეტი შაური.

ცალკე ნომერი ცველგან 10 კაპ.

მოიკითხეთ ეპელა მეგაზეთესთან

თბილისში გაზეთი

„საბურთულო მარტინი“

გამოდის ქ გორგი, კვირაში თრჯელ—სუთშაბათობით და

გაირჩობით. ცალკე ნომერი ღირს ერთი შაური. დაკვეთით წლის დამლევამდე ერთი მანეთი. ხელის მოწერა მიიღება: ი. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თბილის უდი აგენტოთ ვიქ. მექანიკიშვილთან. დოკუმენტის კუთხი № 31.

